№ 209
ოთხშაბათი, 30 სექტემბერი, 1898 წ.

1877—1898

ივერია

№ 209
ოთხშაბათი, 30 სექტემბერი, 1898 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

მცხეთა

დღესასწაულისა გამო I-ლს ოქტომბერს

არმაზის ბალში

საღამოს 10 საათამდე დაუგრავს **სამხედრო მუსიკა.**

ბუფეტში არის ადგილობრივი და უცხოეთის ღვინოები. ავდრისათვის არის დახურული აივანები, კარავები და ცალკე ოთახები.

ფასები ყველაფრისა ძლიერ ზომიერია. (1—ნ.—1)

მისაღები ეგზამენები
ტფილისის საბალოსნო
სასწავლებელში

დანიშნულია 10 და 12 ოქტომბერს. ბიღება იქმნება მხოლოდ მოსამზადებელ კლასში, მარტო პანსიონერებად. (3—142—2)

ქართველ ქალთა ამხანაგობის
სამკერვალო

გადავიდა სადგომად ბარონის ქუჩაზედ, თამამშოვის სახლებში № 12, მიიღებენ შეგირდებს და საკერავს პირველ ოქტომბრიდგან. სახელოსნოს მმართველად მოწვეულია თავისს ხელობის ჩინებულად მცოდნე ქ. ჟილიაევისა. (2—უ.—2)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ე. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. **ა. ი. რუდენკო. 10½—11½ საათ.** ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუკრის.

ზ.ი. ბაბანასიანცი. — დილის 11½—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ა. ბ. კარაბეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. ბ. ბურკო. 1½—2½, ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის. ყურის, ყელის და ცხვირის ავადმყოფ.

საღამოობით:

ვ. მ. მახვილაძე.—6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ. ნერვებისა და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავასარდიანი—6½—7 საათ

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (წ)

კგილის ექიმი
ა. გ. სოლოლაშვილი

მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-დგან 2 მდე და ნაშუადღევის 5-დგან 7-მდე.

მიხეილის ქუჩა № 32. (10—უ.—3)

ახალი ამბავი

*** კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი თავ. გ. ს. გოლიცინი 28 სექტემბერს განჯიდგან ტფილისში დაბრუნდა.

*** კვირას, 27 სექტემბერს, რკინის გზის მიხეილის სატეხნიკო სასწავლებელში გამართულ იქმნა წლიური აქტი, რომელსაც დაესწრო მისი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ექსარხოსი ფლაბიანე. პარაკლისის შემდეგ აქტის დაწყობისას სასწავლებლის უფროსმა რადინსკიმ წაიკითხა წლიური ანგარიში სასწავლებლის მდგომარეობის შესახებ. წელს სასწავლებელში შესვლის მსურველი ყოფილა 84 კაცი, მათგან მიუღიათ 28, ამ ჟამად სასწავლებელში სულ 75 მოსწავლე ყოფილა. სასწავლებელთან დაარსებულია პანსიონი, სადაც 28 კაცი სცხოვრობს. პანსიონის შენობა სასწავლებელს 20,000 მანეთად დასჯდომია.

ანგარიშის წაკითხვის შემდეგ მოსწავლეებს საჩუქრები დაურიგეს.

*** 25 სექტემბერს ტფილისის სასულიერო სემინარიის ეკლესიაში საღამოს მწუხრი ცისკრითურთ შეასრულა საქართველოს ექსარხოსმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესმა ფლაბიანემ სემინარიის რექტორის არქიმანდრიტის გერმოგენისა, ინსპექტორის ბერ მონაზონის დიმიტრისა და სხვათა თანამსახურებით. ამ საღამოს აღკვეცილ იქმნა ბერად სემინარიის ეკლესიის მღვდელი და სემინარიასთან არსებულის სამაგალითო სკოლის სამღთო სჯულის მასწავლებელი მამა დავით ბერძნიშვილი. ახლად აღკვეცილს საქართველოს ექსარხოსმა სახელად დოსითეოსი უწოდა.

მამა დოსითეოსი ტფილისის მოქალაქის შვილია, დაიბადა 1851 წელს. სწავლობდა ტფილისის სასულიერო სასწავლებელსა და სემინარიაში, რომელიც სტუდენტის ხარისხით გაათავა. სემინარიის გათავების შემდეგ 1875 წელს მამა დოსითეოსი ორი წელიწადი თელავის სასულიერო სასწავლებელის მასწავლებლად იყო; შემდეგ 1878—1880 წლ. მსახურობდა ტფილისის საკანტროლო პალატაში. მღვდლად ეკურთხა 1881 წელს და გამწესებულ იქმნა საგარეჯოს წმ. იოანე ნათლის-მცემლის ეკკლესიაში. 1885—1889 წლ. დანიშნულ იქმნა ტფილისის სასულიერო სასწავლებლის მოძღვრად და ეკანომად, ხოლო 1889 ტფილისის სასულიერო სემინარიის მოძღვრად და ამავე სემინარიასთან არსებულ სამაგალითო სასწავლებლის სამღვთო სჯულის მასწავლებლად. გარდა ამისა მამა დოსითეოსი ასრულებდა ტფილისის საეპარქიო დედათა სასწავლებლის საბჭოს წევრის, ტფილისის ეკკლესიების ბლაღოჩინის თანაშემწეს და სხვა თანამდებობებს. ახლად აღკვეცილი ბერ-მონაზონი დოსითეოსი დანიშნულ იქმნა ქვაბთახევის მიძინების მონასტრის წინამძღვრად.

*** იმ ობერ აფიცერთა და კაპიტანთა გამოსაცდელად, რომელნიც მაზრის უფროსის თანამდებობაზედ კანდიდატებად არიან ჩათვლილნი, ტფილისის ადგილობრივ ბრიგადასთან დაარსებულ იქმნა განსაკუთრებული გამომცდელი კომისია, ბრიგადის უფროსის გენერალ-მაიორის ოზეროვსკის თავმჯდომარეობით. კომისია მუშობას 27 ოქტომბრიდგან დაიწყებს.

*** 27 სექტემბერს ტფილისში გარდაიცვალა ვიოლონჩელის ნიჭიერი დამკვრელი ი. სარაჯიშვილი. განსვენებული ჭლექით იყო ავად. სწავლა სარაჯიშვილმა გაათავა 1886 წელს მოსკოვის კონსერვატორიაში და მიიღო ვერცხლის დიდი მედალი. სწავლის გათავების შემდეგ განსვენებული მსახურებდა ტამბოვში, სადაც სამუსიკო კლასების დირექტორად იყო, ხოლო 1887 წლიდგან ტფილისში მსახურობდა სამუსიკო სასწავლებელში. განსვენებული ხშირად იღებდა მონაწილეობას კონცერტებსა და სხვა-და-სხვა სამუსიკო საღამოებში.

*** ქალაქის უძრავ ქონებათა ხელახლა დაფასების დროს დამფასებელ კომისიას არ დაუფასებია „ნაძალადევის“ უძრავი ქონება, რადგანაც იგი არც ქალაქის გეგმაში იყო შეტანილი და არც გამგეობის მიერ აღნიშნულ-აწერილი. მხოლოდ ეხლა შეადგინეს გეგმა „ნაძალადევის“ უძრავ ქონებათა და დამფასებელი კომისიაც ამ დღეებში შეუდგება იმის

ბელს მოვლენას.—

შემდეგ „ჯეჯილში“ დაბეჭდილია ნათარგმნი მოთხრობა „პატარა პუმის თავ-გადასავალი“. რა არის ეს თავ-გადასავალი? — პატარა პუმის მშობლებს წვეულება აქვთ. მოწვეულია ცამეტი კაცი. პატარა პუმის დედას არ მოსწონს რიცხვი ცამეტი. ამიტომ ცოლ-ქმარნი ჩავარდებიან დიდს საგონებელში და დიდის თათბირის შემდეგ გადასწყვეტენ, რომ პატარა პუმიც სტუმრებთან დასვან სადილის დროს და ამ ნაირად ცამეტის მაგიერ თოთხმეტნი იქნებიან. ეს ამბავი პუმისაც გამოუცხადეს, რომელიც სიხარულით მიეგება დედამის გარდაწყვეტილებას. მაგრამ სადილის წინად ერთის სტუმრისაგან ამბავი მოუვიდათ, რომ ვერ გიახლებიო. ცოლ-ქმარნი კვლავ მიეცემიან ფიქრს და ეხლა გადასწყვეტენ, რომ პატარა პუმი თავისს ოთახში დასვან და თვითონ სტუმრებიანად თორმეტნი გახდებიან. ასეც მოიქცენ. პუმი დასვეს ცალკე ოთახში. ის სიხარულით მიელის ტკბილეულობას. სტუმრებმა სადილი გაათავეს. მოსამსახურე შეეკის პუმთან, რომ გახადოს ტანს და დააწვინოს.—„ვაშლის შაქარლამა, პაულინა? ეკითხება პუმი.—„ღარ დარჩენილა..“ ასე თავდება პუმის თავ-გადასავალი. პატარა ქართველი მკითხველი, როცა კითხულობს ამ მოთხრობას, სადღაც უცხოეთში ჰგრძნობს თავის თავ. მას გარს არტყია პუმი, პაულინა, რიპერტი, ფირმანი, ზეტი და სხვა. ამათ შორის ჰხედავს მხოლოდ ერთს მზარეულს ქალს მარინეს, რომელიც სახელით მაინც მოაგონებს, რომ ქართველი უნდა იყოს. საზოგადოდ ამისთანა მოთხრობები, სადაც არც ერთი რიგიანი ტიპი არ არის გამოყვანილი და მასთან დაშორებულიც არის ქართველ ბავშვის გარშემორტყმულ ბუნებას, ბევრს ვერაფერს შესძენს მკითხველებს.

ამის შემდეგ დასტამბულია ლექსი „ყმაწვილი და პეპელა“, შინაარსი და აზრი ამ ლექსისა ისეთივეა, როგორიც ლექსის „სიკვდილი“-სა, რომელიც დასტამბული იყო ამ წლის „ჯეჯილის“ მეორე ნომერში და რომელიც ეკუთვნის ჩვენს საყვარელ და სასიქადულო პოეტს აკაკის. ეს ლექსი „ყმაწვილი და პეპელა“, თუ არ მივიღებთ მხედველობაში აზრისა და პოეზიის საკითხვლობას, საზოგადოდ კარგია, მაგრამ ზოგან გრამმატიკის მხრით ქართული არ არის კანონიერი:

„მიმოფრინავდენ პეპლები
ყვავილის გარეშემოსა (?)
და იმის გულში მალხაზნი
ეძებდნენ სიტკბო გემოსა.“

„გარეშემოსა“ და „გემოსა“— გემოსა გვესმის და კანონიერიც არის. „გარეშემოსა“ კი როგორც არა ცვალებადი სიტყვის ნაწილი (გარეშემო) უკანონოდ უნდა იყოს ნახმარი.

მოთხრობა „აფრიკის სპილოზე“, რომელშიაც მკითხველები გაიცნობენ საზოგადოდ სპილოს და მისს ცხოვრებას, კარგია. —ბიოგრაფიულს წერილს „ლიუდვიგ ბეთჰოვენზე“ შემუშავება და რედაქციის მხრივ შალაშინი აკლია. აზრები არ არის დალაგებული ლოგიკურად და დიდ განსაცდელშია ნაცვალ სახელი უადგილო ადგილას ხმარებით: მაგალითად:

„მან (ვინ?) ყველას ბეტიგის ტკბა და სიყვარული დაიმსახურა, მისი (ვისი?) სახელგანთქმული შვილის შვილი ბეთჰოვენი აღტაცებით იხსენებდა თავის („ჯეჯილის“ მართლწერა) ბაბას, რომელსაც ისეთი დიდი გავლენა ჰქონდა მასზე (ვისზე?) ბიოგრაფიული ცნობები ბეთჰოვენისა მოკლებულია აგრეთვე თვით ბეთჰოვენის სურათ-

დაფასებას. ამ ნაწილის დაფასებას 2 დღეში დაასრულებენ.

⁂ კვირას, 27 სექტემბერს, საზოგადო კრება ჰქონდათ კავკასიის ფარმაცევტთა საზოგადოების წევრთ. სხვათა შორის კრებამ დაადგინა იშუ ამდგომლოს: ნება მიეცეს საზოგადოებას შესცვალოს წესდების ზოგიერთი პარაგრაფი, საზოგადოების მოსამსახურე წევრთ სამსახურის ვადა მოემატოთ, ნება მიეცეს საზოგადოებას დააარსოს აფთექები, ლაბორატორიები და სხვა.

⁂ კვირას, 27 სექტემბერს, უნდა მომხდარიყო ტფილისის ვაჭართა საზოგადო კრება ტფილისში საკომერციო სასწავლებლის დაარსების შესახებ მოსალაპარაკებლად, მაგრამ კრება მეორე დღისთვის გადაიდო, რადგანაც კავკასიის სავაჭრო და სამანუფაქტურო კომიტეტმა და სავაჭრო გამგეობამ გარდასწყვიტა ჯერ კერძო მოლაპარაკება მოახდინოს ამ საგნის შესახებ.

⁂ პროფესორი პეტერბურგის უნივერსიტეტისა ვ. ვ. დოკუჩაევი, რომელმაც ტფილისში რამდენიმე ლექცია წაიკითხა კავკასიის ნიადაგის შესახებ, პეტერბურგში წავიდა.

⁂ ოქტომბრის პირველ რიცხვებში ჩატმაში (სიღნაღის მაზრა) წავა განსაკუთრებული კომისია, რომელიც შესდგება ტფილისის გუბერნიის და ზაქათალის ოლქის სახელმწიფო ქონებათა გამგეს ბეკისა, იმის თანაშემწის პავლოვსკისა, სახელმწიფო ქონებათა გამგეობის იურის-კონსულტის დრეევ-ც-კოვაჩისა და მიწის-მზომელის ოსმატ-ბეგ-მუფტი-ზადესაგან. ამ კომისიამ უნდა დაათვალიეროს ჩატმაში ის ადგილები, რომელსაც კერძო კაცნი სთხოვენ სახელმწიფო ქონებათა გამგეობას იჯარით მოგვეცით ნავთის აღმოსაჩენად და საწარმოებლადაო.

⁂ გაზ. „კავკასი“ სწერს, რომ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა შუამდგომლობა აღძრა მთავარ მართებლის წინაშე იმის შესახებ, რომ მუხრაანის სასოფლო სასწავლებელთან დაარსებულ იქმნას საპატიო მეთვალყურეს თანამდებობაო.

⁂ გაზ. „ახ. მიმ.“ ს სწერენ სიღნაღის მაზრიდგან, რომ წელს აქ ძალიან კარგი ღვინის მოსავალიაო. ორთა შუა რიცხვით ერთ დესეტინა ვენახს 400—600 ვედრა ღვინო აქვს გამოსავალი. მოსავალი ისეთი კარგია, რომ ბევრს ჭურჭელი არაკი ჰყოფნის, რის გამო ახლად დაწურულს მაჭარს ვედროს 55—80 კაპ. ჰყიდიან. ზოგი ნაწილ-ნაწილ ჭკრებავს ყურძენს, სწურავს და ჰყიდის, რომ ამ რიგად ქვევრები განთავისუფლოს. თვით ღვინოც კარგი თვისებისაა. ყურძენი კარგად დამწიფდა, რასაც, სხვათა შორის, ხელი წამლი ბამაც შეუწყო. საუბედუროდ ღვინო ძალიან მცირე ფასში იყიდება. ის ღვინო, რომელიც ტფილისში ბოთლი 40—60 კაპეიკად საღდება, აქ ადგილობრივი მევენახეებს 5—6 კაპეიკად უხდებათ გაყიდვა, ე. ი. იმ ფასად, რა ფასადაც ტფილისში „კვასიც“-კი არ იყიდება.

ღვინის კარგმა მოსავალმა და დაბალმა ფასმა სიღნაღის-მაზრის მოვაჭრენი დააფაცურა. ვისაც-კი ორიოდე გროში მოეპოვება, ღვინის სასყიდლად ეშურება. შარშან თუმცა გაცილებით ნაკლები მოსავალი იყო, მაგრამ საპალნე (48 ვედრო) ღვინო 100—120 მანეთად იყიდებოდა, წელს-კი ორჯელ ნაკლებ ფასად იყიდება, თუმცა მევენახეთ მეტი ხარჯი გასწიეს. მაზრა სავსეა ჩარჩ-ვაჭრებით, რომელნიც ბზის ფასად ყიდულობენ ღვინოს. წინანდელის წლების მოუსავლობით გაჭირვებულ მცხოვრებელთ-კი ვერაფერი გაუწყვიათო.

დასასრულ კორესპონდენტი უმატებს, რომ საჭიროა როგორმე ამ საქმეს ეშველოსო. ვიდრე ღვინის ფასების დადება ჩარჩ-ვაჭრებისაგან არის დამოკიდებული, კახეთის მევენახეობის საქმე კარგად ვერ მოეწყობა. საჭიროა რამე ღონე იქმნას ნაღონები, რომ კახეთის ღვინო შესაფერ ფასად იყიდებოდესო.

⁂ „მთავრობის კანონ. და განკარგ. კრებულ“-ში დაბეჭდილია ბრძანება ქუთაისის სათავად-აზნაურო მიხეილის ბანკის წესდების ზოგიერთის მუხლის შეცვლის და დამატების შესახებ.

⁂ სავაჭრო სახლს „ბ. ო. გუკასოვი და ამხ.“ უმაღლესად ნება მიეცა დააარსოს ნავთის მწარმოებელი სააქციონერო საზოგადოება, რომელსაც სახელად „კუდაკო“ ეწოდება.

⁂ ქალაქის გამგეობამ ამ დღეებში ჩრდილოეთ კავკასიაში გაჰგზავნა ბეითალი ვართანიანცი 200 ცხენის სასყიდლად. ეს ცხენები ქალაქს ცხენის-რკინის გზისთვის დასჭირდება.

⁂ ამ დღეებში საჩივარი შეიტანეს მოქალაქეთა მოურავის, იმის კანდიდატის და ობოლთა სასამართლოს წევრის არჩევანებზედ. მომჩივარნი თავისს საჩივარში, რომელიც გუბერნატორს მიართვეს, სხვათა შორის ამბობენ, რომ არჩევანებში ისეთმა კაცებმაც მიიღეს მონაწილეობა, რომელნიც მოქალაქეთა წოდებას არ ეკუთვნიანო.

⁂ 27 სექტემბერს, საღამოს 11 საათზედ, ქალაქის მე-VI ნაწილის ერთს დუქანში ტფილისის მცვევრებელს მიხეილ გოგიევსა და სიღნაღის მცხოვრებელს სტლია ტალანოვს ჩხუბი მოუვიდათ, რომლის დროსაც გოგიევმა ბებუთით რამდენსამე ალაგას დასჭრა ტალანოვი. დაჭრილი საავადმყოფოში გაჰგზავნეს, მაგრამ გზაში გარდაიცვალა, გოგიევი-კი არეულობის დროს სადღაც მიიმალა. დამნაშავე დღემდის ვერ უპოვნიათ.

⁂ უკვე დაიბეჭდა მე-VIII №-რი, აგვისტოს წიგნი „მოამბე“-სი. ეს წიგნი შემდეგის შინაარსისაა: კორიოლანოს.—ხუთ მოქმედებიანი ტრაგედია, უილიამ შექსპირისა, თარგმანი თ. ი- მაჩაბლისა. საშინელი წამი—პოლ-მარგერიტისა, თარგმანი ივ. ზურაბიშვილისა. ნამდვილი სამსახური.—ი. პოტაპენკოსი, თარგმანი ეფროსინე კლდიაშვილისა.—ლექსი, შ. მღვიმელისა. გლეხი-კაცის ისტორია.—ერკმან-შატრიანისა, დასასრული მესამის და დასაწყისი უკანასკნელი ნაწილისა. თარგმანი ი. მაჭავარიანისა. ყალბი შაური.—კლემანს იუნოშისა, თარგმანი ივ. ზურაბიშვილისა. ეტიუდები ქართულის ლიტერატურიდან.—წერილი მეოთხე. თ. ი. ჭავჭავაძე. კიტა აბაშიძისა. ნოყიერი და გემრიელი ნივთიერებანი.—პროფ. რ. ვირხოვისა, თარგმანი ს. ენუქიძისა. სამრევლო სკოლები გურია-სამეგრელოს ეპარქიაში.—თ. სახოკიასი. ხელმწიფე იმპერატორის ნიკოლოზ მეორის უმაღლესი რესკრიპტი გ. ი. გძელიშვილისა.—კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.—1 ხალხური ანდაზები და გამოცანები. შეკრებილი და გამოცემული სოსიკო მერკვილაძისაგან, ტფილისი 1898 წ., 66 გვ. in 16°. ფასი ორი შაური. II Тифлисское церковное древнехранилище, Т. 1898. 106 გვ. (ტფილისის საეკლესიო ძველ ნაშთთა საცავი). III დიდ ოთხშაბათი, პოემა იასონ ციციშვილისა. ტფ. 1898 წ. გვერდი 31, ფასი ორი შაური. IV უმთავრესი მიზეზი საქართველოს მიმართ რომის ყურადღებისა, ზ. ჭ.—სა, ტფ. 1898 წ. ფასი 25 კაპ. V სადღეგრძელოები, „გლეხის“ გამოცემა, № 7, ტფ. 1898 წ., 28 გვერდი, ფასი ერთი შაური. s—a-სი-

ქალაქის საბჭო

28 სექტემბერი

21 და 23 სექტემბრის კრების ანგარიშის წაკითხვის შემდეგ თავმჯდომარე შეეკითხა საბჭოს,—ხომ არავის გაქვთ რამ სათქმელი ოქმის შესახებ.

ხმ. მიტკევიჩი. საბჭოს დადგენილება ქალაქის მიერ ცხენის რკინის გზის გამოსყიდვის და წარმოების შესახებ მე უკანონოდ მიმაჩნია, რადგან ეს საგანი წინდაწინვე საბჭოს არ განუხილავს და არ გამოურკვევია, რამდენად სასარგებლო იქმნება ქალაქისათვის.

ქალაქის მოურავი. ოქმი სწორედ არის შედგენილი თუ არა, თქვენ ამის შესახებ უნდა გამოსთქვათ თქვენი აზრი.

ხმ. მიტკევიჩი. ეს მართალია, მაგრამ მე მინდა იცოდეთ, რომ მე იმავე აზრისა ვარ ამ საქმის შესახებ, რაც წარსულ კრებაზედ განვაცხადე და ამის თაობაზედ ცალკე მოხსენებას წარმოვადგენ.

ხმ. ხუდადოვი. მე მინდა შეგეკითხოთ ქალაქის რამდენისამე საქმის შესახებ: 23 მარტს საბჭომ ქუჩების დასუფთავება სახლების პატრონთ დაავალა. აგრეთვე საბჭომ გამგეობას მიანდო წარმოადგინოს თვისი მოსაზრებანი ამ საქმის შესახებ, მაგრამ გამგეობას ჯერ არ შეუსრულებია ეს მინდობილება.

შემდეგ საბჭოს მოხსენდა—რომელი ხმოსანი დააკლდა წარსულ კრებას და რა მიზეზით.

ქალაქის მოურავი. ამ საგნის თაობაზედ ხმ. ა. ს. ბაბოვმაც შემოიტანა დღეს განცხადება ქალაქის გამგეობაში. გამგეობა ჩქარა წარმოადგენს წინადადებას იმის გამო, თუ რა წეს-რიგი უნდა იქმნას დადგენილი.

ხმ. ხუდადოვი. რა მიზეზი იყო, რომ ზაფხულში ზოგიერთ ქუჩას მომეტებულად რწყავდნენ და ზოგს—სრულიად არა, ანუ ერთობ ნაკლებად. მაგალითად, ნიკოლოზის ქუჩა, საცა მე ვცხოვრობ და ალექსანდრეს, საცა—აპოლონ ათანასეს ძე ივანენკო, ყოველ დღე ირწყოდა, ხოლო მახლობელ ქუჩებს ცვარი წყალიც არ უნახავს.

ქალ. მოურავი. არ ვიცი, ეგ როგორ მოხდა, გამოვიძიებ.

ხმ. ხუდადოვი. ზოგიერთ ქუჩაზედ თავისუფლად კაცს ვერ გაუვლია; საცა-კი ფეხს გადასდგამთ, სახლების ასაშენებელი ქვები ჰყრია მთელ წლობით. საჭიროა,—ამ უწესოებას ყურადღება მიაქციოს გამგეობამ.

ხმ. კვანგულოვი. ამ დღეებში ერევნის მოედანზედ ცეცხლი წაეკიდა ერთს მაღაზიას. როგორც გაზეთებში იყო მოხსენებული, მილში წყალი არ აღმოჩნდა. საჭიროდ მიმაჩნია გამგეობამ გაგვაგებინოს—მართალია ეს ამბავი თუ არა და თუ მართალია, რა იყო ამისი მიზეზი.

ქალაქის მოურავი. ცეცხლის მქრობელ რაზმისა და იმ შენობისა, საცა ცეცხლი გაჩნდა, ონკანში მართლაც არ აღმოჩნდა იმ დროს წყალი შესაწყნარებელ მიზეზისა გამო. ხოლო მახლობელს ონკანებში წყალი ბლომად იყო, რის წყალობითაც ცეცხლი $1^1/_2$ საათის განმავლობაში ჩააქრეს. ამ საგნის შესახებ მე დაწვრილებითი ცნობები მოვსთხოვე წყალის მილების ინჟენერს და ზედამხედველს და სრული მოხსენება შევადგინეთ, რომელიც ხვალ გამგეობამ გუბერნატორს უნდა წარუდგინოს მთავარ-მართებლის თავ. გოლიცინის მისართმევად. ამ მოხსენების

საც, ამიტომ ეს ცნობები ვერ იმოქმედებს შესაფერად პატარა მკითხველებზედ. ამის შემდეგ „ჯეჯილის“ მეშვიდე და მერვე ნომერში დასტამბულია პატარა ლექსი ბ-ნის ვანო ბირკაძისა. ამ ლექსს სახელად ჰქვიან „ღორი“. ამოვწერთ ამ პატარა ლექსს სრულად:

„ღორო, შესულხარ ყანაში,
ბამ, ახდენ, არა გცხვენია (რა უსინდისო ღორი ყოფილა!)
გარემოება ხელს გიწყობს,
ბურთ-მოედანი შენია.

—

მაგრამა მალე შენ დაგკვლენ, (რადგან გარემოება ხელს გიწყობს დღ ყანასა სჭამ),
დილა არ გაგითენდება...
და კვლავისათვის ყანიდგან(?)
სიმინდი აღმოცენდება“.—

თუ „ყანას“ საზოგადოდ მოსამკელ პურს ეძახიან, ყანიდგან სიმინდი როგორ აღმოცენდება?!. არა გვგონია, ღორების დახოცვამ ყანიდგან სიმინდი აღმოაცენოს. ამ ლექსის ავტორი ახალგაზდა პოეტი უნდა იყოს, რადგანაც მისი ლექსები ჯერ არსად შეგვხვედრია, მაგრამ გვაკვირვებს ის გარემოება, რომ ამ ახალგაზდა პოეტს ღორებში დაუწყია მუზისა და პოეზიის ძებნა.

ფიზიოლოგიურ წერილში ვკითხულობთ სისხლის მოძრაობისა, ტრიალის ამბავს და ბიოგრაფიულს ცნობებს ვილიამ ჰარვეისას, რომელსაც ეკუთვნის სისხლის ტრიალის მეცნიერულად გამოკვლევა. ბიოგრაფიული ცნობები, რომელსაც თვალსაჩინოდ ჰხდის სურათი ვილიამ ჰარვეისა, რიგიანია. ავტორი ფიზიოლოგიურის წერილებისა ხშირად ჰხმარობს სიტყვას „მინუტი“ მაშინ, როდესაც ამ ცნების გამომხატველი ტერმინი წამი ქართულად ყოველგან ხმარებაშია და ჯერ არავის შეუცვლია მინუტად. პირიქით ქართული ენა დროს გამომხატველი ცნებებით ისეთი მდიდარი ყოფილა, რომ საბა ორბელიანს წამის შემდეგ კიდევ ცხრა ცნება აქვს მოყვანილი: (წუთი, კესი, მასი, არდი, მეყი, წენი, ვაწე, ბლისი, ნვინი).

მოთხრობა „შალვა და თამრო“, რომელიც დასტამბულია „ჯეჯილის“ ამავე ნომრებში და ეკუთვნის ქ-ნს მარიამ დემურიას, საუკეთესო მოთხრობად მიგვაჩნია მთელს ჟურნალში. ამ მოთხრობისათვის პატივცემულს ავტორს აუღია კარგი სიუჟეტი—ინტელიგენტისა და გლეხის ბავშვების შეხვედრა და მათი ურთიერთშორისი კაცობრიული დამოკიდებულება. ეს ისეთი ნიადაგია, რომელზედაც ადვილად შეიძლებენ ქალაქელი ბავშვები სოფლის გლეხ-კაცის ცხოვრების გაცნობას და გლეხის ბიჭები ქალაქელებისას. ამისთანა მოთხრობები პოეტიურის აღწერილობით ვერა ჰხიბლავენ მკითხველებს, მაგრამ აზრისა და შინაარსის მხრივ დიდად მოსაწონია. რუსულ საბავშვო მწერლობაში მოიპოვება რამდენიმე ასეთის შინაარსის მოთხრობები მაგ. „Гнѣдко“ ახშარუმოვისა და „Дѣти подземелья“ კოროლენკოსი, რომელთაც ბევრი მკითხველები ჰყავს რუსეთში. „შალვა და თამროს“ მოთხრობაში ვკითხულობთ: „ელენე იყო ღვთის მოუკარე და მტოდნე ხუტური და მხედრული ენისა“. ხუცურად და მხედრულად ქართული ენა ჯერ არავის დაუყვია. ისეთი განსხვავება, როგორც რუსულ ხუცურსა და მხედრულს ასოებს შორის არის, ქართულს ხუცურსა და მხედრულს შორის არ უნდა იყოს. მწიგნობრივი კილო საზოგადოდ ხუცურშიაც შეიძლება და მხედრულშიაც. შემდეგ ვკითხულობთ: „შალვამ და თამრომ კალოზე ფერხული გამართეს და მშვენიერის სმათ გალობდნენ(?)“. ქართულად „გალობდნენ“ იტყვიან საეკლესიო საგალობლების შესახებ, საერო სიმღერებზე ამბობენ და სწერენ მღეროდნენ და სხ.

საღმრთო წერილიდგან მოთხრობა „მარიამობა“ ჩვეულებრივ კარგია.

ბევრს საინტერესო ცნობებს ამოიკითხავს „ჯეჯილის“ მკითხველი მოთხრობიდგან „ვეშაპი, რომელიც იწყება ასე:

„დედა მიწა დაუოფილია ხმელეთსა და წყალს შუა“. ამ აზრის გამოხატვა შეიძლებოდა უფრო მარტივად და ადვილ გასაგებად. იქვე მეორე გვერდზედ ვკითხულობთ, რომ ციმბირში ძალიანი სიცივეები იცისო, „ამიტომ რომ კინმეს ციმბირში გზა ენიან, ჩვენ იმას გამოვიტირებთ, ადარ გვაჭკს იმედი, რომ ის დიდხანს იცოცხლებს“. ციმბირში სცხოვრობს ხალხი, მაგრამ სიცივისაგან არ იხოცება, როგორც ბ-ნს პეტრესა ჰგონია. ამას გარდა, განა მარტო იმიტომ გამოიტირებენ ციმბირში წამსვლელებს, რომ ისინი სიცივისაგან დაიხოცებიანო. გლოვისა და სიმწუხარის მიზეზად ჩვენ ისა გვგონია, რომ ციმბირში წამსვლელი, უმეტესს შემთხვევაში სამუდამოდ უნდა მოშორდეს თავისს ტოლს ამხანაგს, ნათესავებს და სამშობლოს და სხ.— ეს უნდა იყოს უმთავრესი მიზეზი და არა ციმბირის სიცივეები, რომლის შესახებ ბევრს ჩვენებურებს ნამდვილი წარმოდგენაც არა აქვთ.

მოთხრობაში „ნიშნების გამოცხადება“ კარგად არის დახატული ის პსიხოლოგიური წუთი, რასაც გრძნობს ყოველი მოსწავლე სამოსწავლო წლის დასასრულს ნიშნების გამოცხადებისა და ერთი კლასიდგან მეორეში გადასვლის დროს. მოთხრობა „მგლების ნადირობა“ არ არის ინტერეს მოკლებული, მხოლოდ ამ მოთხრობაში ყველა მკითხველი ვერ გაიგებს სიტყვებს კაშტანი, კაუტი და სხვა.

დანარჩენი პატარა მოთხრობები „სამშობლოსათვის თავდადებული“, „საჩივარი მებაღეზე“ და „პატარა ხუროები“—თავისის აზრის დაგვარად შესაფერს საკითხავ მასალას წარმოადგენენ.

დასასრულ სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ „ჯეჯილის“ ფურცლებზედ ვხედავთ ზოგიერთ ახალს თანამშრომლებს, რომელთა შორის ზოგიერთ თამამად შეუძლიანთ შესაფერისი საკითხავი მასალა მიაწოდონ „ჯეჯილის“ პატარა მკითხველებს.

ლ. ბოცვაძე

შინაარსს გამგეობა საბჭოსაც გააცნობს.

ხმ. ა. ს. ბაბოკი. გაზ. „კავკაზის“ წინააღმდეგ გამგეობა რატომ რაიმე ლონის ძიებას არ ჰხმარობს? ეს გაზეთი მუდამ შეურაცხებას აყენებს ქალაქის თვით-მართველობას სატირეს შესახებ აღძრულ საქმიდგან მოკიდებული უკანასკნელ დრომდე. არც ერთს ქალაქში არ არის ისეთი მაგალითი, რომ რომელიმე გაზეთი ასე შეურაცხყოფდეს ქალაქის თვითმართველობას.

ქალაქის მოურავი. ამ გარემოებას გამგეობამ მიაქცია ყურადღება. თუ რომელიმე ხმოსანს ამ საგნის შესახებ მოსახსენებელი რამე აქვს, წარმოადგინოს განსახილველად.

გამგეობის წევრმა ბ-ნ ივანენკომ იმ კომისიის თავმჯდომარის ბ-ნ კალოუბნელის განცხადება წაიკითხა, რომელსაც დავალებული ჰქონდა გამგეობის მიერ შედგენილი 1897 წ. შემოსავალ-გასავლის ანგარიში განეხილა. ბ-ნი კალოუბნელი თავისს მოხსენებაში აცხადებს, რომ კომისიაში სამი კაცია, რომელნიც ვერ ასწრებენ ანგარიშის განხილვას და ამიტომ ორი კაცი კიდევ მიუმატეთ კომისიასო. საბჭომ შეიწყნარა ეს მოხსენება და ახალ წევრებად აირჩია კენჭის ყრით ბ-ნნი იაკიმოვი და მელიქოვი.

ქალაქის მოურავი. საბჭომ დღესვე უნდა აირჩიოს კომისიას, რომელსაც დავალებული ექმნება ცხენის რკინის გზის საქმე მოაწყოს და ეს გზა აწარმოვოს. კომისიისათვის სამი კაცია საჭირო.

ხმ. შაჰვზიზოვი. ვიდრე კომისიის წევრების არჩევას შევუდგებოდეთ, საჭიროა ვიცოდეთ, რა და რა საქმე უნდა გააკეთოს კომისიამ.

ქალაქის მოურავი. კომისიამ ის უნდა გააკეთოს, რასაც ბ ნს ვერმიშევს ავალებდით.

ხმ. ქოჩორიანცი. ჯერ უნდა ვიცოდეთ, რა მოვალეობა ექმნება მინდობილი კომისიას და რა ვადით იქმნება იგი არჩეული. საბჭო თუ ვერმიშევს ავალებდა ამ საქმეს, ამის უფლებაც ჰქონდა, რადგან ვერმიშევი გამგეობის წევრია და ჯამაგირს იღებს. ხოლო კომისიას თუ მივანდობთ საქმის შესრულებას, კომისიის წევრები მიიღებენ შრომის ფასს რასმეს, თუ არა? ეს იმიტომ უნდა ვიცოდეთ ეხლავე, რომ თუ კომისიის მოვალეობა რთული იქმნება და დიდ ხანსაც გასტანს, რომელი ხმოსანიც კომისიის წევრობას იკისრებს, იმან ხმოსნობას თავი უნდა დაანებოს, რადგან ხმოსანს არ შეუძლია ქალაქის თვით-მართველობაში რაიმე ჯამაგირიანი ადგილი ეჭიროს.

ხმ. კანგულოვი. საბჭომ დაადგინა, რომ ეს საქმე ბ-ნს ვერმიშევს მივანდოთო, მაგრამ შემდეგ ქალაქის მოურავმა ბრძანა,—ის ამისთვის ვერ მოიცლის, რადგან სხვა საქმეც ბევრი აქვსო. მე ზაფხულში შევეკითხე ქალაქის მოურავს და მინდოდა საბჭოს გაეგო, როგორ აქვთ მუშაობა განაწილებული გამგეობის წევრთ; ვის მეტი საქმე აქვს მინდობილი და ვის ნაკლები; მაგრამ ამის შესახებ ჯერ კიდევ პასუხი ვერ მივიღეთ. ეს-კი ჩვენთვის საჭირო იყო, რადგან საბჭოს ეცოდინებოდა, მართლა იმდენი საქმე აწევს ბ-ნს ვერმიშევს, რომ ამ საქმისთვის ვერ მოიცლის, თუ არა.

ქალაქის მოურავი. ქალაქის საქმეები განაწილებულია გამგეობის წევრთა შორის, ხოლო ცხენის რკინის გზა ახალი საქმეა და სხვა კაცები დაგვჭირდება.

ხმ. კანგულოვი. გამგეობაში წინად 3—4 კაცი იყო, ეხლა-კი ხუთი კაცია და მაინც ამბობენ, რომ საქმეს ვერ ვასწრებთო. ამისათვის საკურველია ვიცოდეთ, ვინ რას აკეთებს. ქალაქის მოურავმა ჰბრძანა, რომ კომისიამ იგივე საქმე უნდა გააკეთოს, რაც ბ-ნს ვერმიშევს დაავალეთო. საბჭომ დაადგინა გზის გამოსყიდვა, მაგრამ როგორ უნდა მოეწყოს ეს საქმე, ამის თაობაზედ მსჯელობა არა ჰქონია. ეხლა კი გინდათ კომისიას მოახვიოთ თავზედ გზის გამოსყიდვა, მოწყობა და წარმოება. ამისათვის ხმ. ქოჩორიანცის განცხადება მე კანონიერად მიმაჩნია. ჩემის აზრით, აღმასრულებელი კომისია უნდა ავირჩიოთ და იმის თავმჯდომარეს გადაჭრილი ჯამაგირი უნდა დავუნიშნოთ.

ხმ. ქალაქთავი. კომისია საქმეს ვერ უშველის. ეს საქმე გამგეობის წევრს უნდა ჩავაბაროთ და იმას ჯამაგირით თანაშემწეები დავუნიშნოთ.

ხმ. ხუდადოვი. ამ საგნის ასე თუ ისე გარდაწყვეტას დღეს ვერ მოვახერხებთ, რადგან იგი ერთობ რთულია და ამიტომ იგი გადავდოთ.

ხმ. თაიროვი. გამგეობა ამ საქმის გაკეთებას ვერ შესძლებს. ამისათვის სხვა კაცი მოვნახოთ გამგეთ და წლიური ჯამაგირი 7—8 ათასი მანეთი დავუნიშნოთ. ამასთანავე ეხლა საქმის მომამზადებელი კომისია უნდა იქმნას არჩეული, ხოლო მერე აღმასრულებელი კომისია, რომელმაც თვალ-ყური უნდა ადევნოს საქმის წარმოებას. მე არ ვეთანხმები ხმოსანს ქოჩორიანცს, რომ კომისიის წევრებს საყიდელი მიეცესო; ასეთი მაგალითი არასოდეს არ ყოფილა საბჭოში.

ხმ. იოანესიანი. ვერმიშევისათვის ცხენის რკინის გზის საქმის მოწყობა არ დაგვივალებია ჩვენ; საბჭომ იმას ამ საქმის შესწავლა მიანდო. ბ-ნი ვერმიშევი გამგეობის წევრია და თქვენ-კი მისდა დაუკითხავად გინდათ ცხენის რკინის გზის დირექტორად დააყენოთ. ჩვენ ავირჩიოთ სამის კაცისაგან კომისია, რომლის თავმჯდომარედ ბ-ნი ვერმიშევი იყოს. ამათი მოვალეობა ის იქმნება, რომ 25 ოქტომბრამდე იმუშაონ და ყოველივე საქმე მოამზადონ გზის წარმოებისათვის.

ხმ. ხუდადოვი. კომისიის წევრებს გაუჭირდებათ ასე ჩქარა საქმის რიგიანად შესწავლა, ამისთვის კარგი იქმნება ამ საქმეს გამგეობა რომ იკისრებდეს და შრომას თანაბრად გაინაწილებდნენ გამგეობის დანაშთენი წევრებიც.

ხმ. შაჰვზიზოვი. საქმე ვერმიშევმა დაიწყო და მანვე უნდა განაგრძოს, ხოლო თუ მარტო ვერ გაუძღვება საქმეს, შეუძლიან თანაშემწეები აირჩიოს. 25 ოქტომბრამდე ის არის პასუხის მგებელი. თუ საქმის დამთავრება ასე ძნელი იყო, რატომ დროზედ არ განუცხადა საბჭოს. არავითარი კომისია საჭირო არ არის.

ხმ. ა. ს. ბაბოკი. საქმის მოწყობისათვის ამ ორს კვირაში არავითარი საშუალება არ უნდა დავზოგოთ. საქმის რიგიანად მცოდნე კაცი თუ საჭირო იქმნება, გამგეობას ამისათვის ფულიც აქვს და სრული უფლებაც მისის მოწვევისა. მე შემიძლიან დაგისახელოთ მოსკოვში ამ საქმის კარგად მცოდნე კაცი; საზღვარ-გარეთიდგანაც შეიძლება ვინმე დაიბაროთ. დასასრულ უნდა მოგახსენოთ, რომ გამგეობაში ეხლა 5 წევრია მაშინ, როდესაც წინად მხოლოდ 3 იყო; მაშასადამე, არ ითქმის, რომ გამგეობის წევრს მოცლა არა აქვსო. კარგს იზამს ქალაქის მოურავი, ბ ნ ვერმიშევის საქმეს დროებით თუ თითონ იკისრებს.

ქალაქის მოურავი. თქვენ ნუ გვასწავლით, რა უნდა გააკეთოს მოურავმა; ამას კანონი გვიჩვენებს.

ხმ. იოანესიანი. მე გულ-ახდით ვილაპარაკებ: 25 ოქტომბრისთვის, როცა გზის გამოსყიდვის დღეა, ჩვენ მზად ვიქმნებით თუ არა? ამის შესახებ ყველა ჩვენგანი იქვიანოს; თითონ ქრისტეფორე ამბაკოს ძემაც (ვერმიშევი) ამ საგნის შესახებ გარკვეული ვერაფერი გვითხრა. მართლაც უბედურება იქმნება, რომ ჩვენ მომზადებული ვერ ვიყვნეთ და რამდენისამე დღის განმავლობაში გზა ვერ ვამუშავოთ. ამისათვის ჩვენ ვალდებულნი ვართ ბ-ნს ვერმიშევს საჭირო კაცები მივაშველოთ. სხვა არა იყოს-რა, ყოველსავე საქმეს თავისი მცოდნე კაცი სჭირია. ეჭვი არა მაქვს ბ-ნ ვერმიშევის ცოდნაში, მაგრამ, ვაგონების ჩაბარებასაც, ცხენების საკვების დამზადებასაც და სხ. მარტო ის როგორ გასწვდება. ცოდვა იქმნება, მარტო ვერმიშევს რომ ყველაფერი მოვახვიოთ თავზედ და საზოგადოების წინაშე პასუხის გება მას ვაკისრებინოთ.

ხმ. მელიქ ნუბაროვი. ეხლავე უნდა გარდავწყვიტოთ მარტო ის კი არა, რომ საქმე შევამზადოთ, არამედ ისიც, თუ როგორ ვაწარმოვოთ საქმე. მართლაც კომისიამ მარტო საქმის შემზადებისთვის რომ იზრუნოს, 25 ოქტომბრიდგან ვის ვაკისრებინოთ ამ საქმის წარმოება? ამისათვის საჭიროა ეხლავე მოვიწვიოთ ვინმე საქმის კარგად მცოდნე კაცი.

ხმ. შაჰვზიზოვი. მარტო ვერმიშევს რო ჩასციებიხართ, იგი რომ მოიქანცოს და ავად გახდეს, ერთი მიპასუხეთ, რას იზამს გამგეობა? ვერმიშევი, ღმერთმა კარგად ამყოფოს, მაგრამ მიბრძანეთ ერთი, რას იზამთ, ავად რომ გახდეს (სიცილია)?

კარგა ხნის ლაპარაკის შემდეგ, თავმჯდომარის წინადადებისამებრ, საბჭომ ხმის უმეტესობით დაადგინა: სამის კაცისაგან არჩეულ იქმნას აღმასრულებელი კომისია, რომლის თავმჯდომარედ გამგეობის წევრი ბ-ნი ვერმიშევი დაინიშნოს. კომისიამ უნდა განაგრძოს გზის წარმოებისათვის ყოველივე საქმის მოწყობა და ამასთანავე შეიმუშავოს წესდება იმის შესახებ, თუ როგორ აწარმოვონ გამოსყიდვის შემდეგ გზა.

კომისიის წევრებად კენჭის ყრით არჩეულ იქმნენ ბ-ნნი ვეტცელი, ტიგრანოვი და იაკიმოვი.

წერილი თელავიდგან

—

20 სექტემბერს გორიდგან დეპეშამ ფრიად სამწუხარო ამბავი მოგვიტანა. თელავის სასულიერო სასწავლებელში ზედამხედველად მყოფი და შემდეგ ქ. გორის სასულიერო სწავლებლის მასწავლებელი მიხეილ ივანეს ძე ილურიძე გარდაიცვალაო. ამ მოულოდნელმა ამბავმა დიდად შეაწუხა ყველა მისი თანამოსამსახურენი და ნაცნობნი.

ამ დროს ყოვლად სამღვდელო ალავერდის ეპისკოპოსი კირიონი ალავერდის ტაძარში ბრძანდებოდა. მათ მეუფებას ატყობინებდნენ გორიდგან ამ სამწუხარო ამბავს და იწვევდნენ დასაფლავებაზედ დასასწრებლად. მათი მეუფება კირიონი და მ. ი. ილურიძე ერთს დროს ჰმსახურებდნენ თელავის სასულიერო სასწავლებელში და სამსახურამდისაც ამხანაგები იყვნენ.

რადგანაც სწორის დღესასწაულს არ ეღალატებოდა, მისმა მეუფებამ დეპეშითვე აცნობა გორში, რომ 24 უეჭველად მივიდოდა, თუ ამ დრომდე გარდაცვალებულის დაკრძალვა გადიდებოდა. ამასთან მადლიანი ხელით შესაწევარიც გაუგზავნა და თვით 22 დილით წაბრძანდა კიდეც.

თანამოსამსახურეთ სასამძიმრო დეპეშა გაუგზავნეს გარდაცვალებულის მეუღლეს და პანაშვიდი 24-სათვის გადასდეს, რადგანაც გორიდგან მოსულმა დეპეშამ აუწყათ, რომ დაკრძალვა ამ დღისათვის იყო გადადებული.

24 სექტემბერს მეოთხე გაკვეთილის შემდეგ სასწავლებლის ეკკლესიაში მთელის სასწავლებლის თანადასწრებით გარდახდილ იქმნა პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად.

თელავის სასულიერო სასწავლებელმა გაიხსენა აწ განსვენებულის ღვაწლი, რომელიც საუკუნოდ დარჩება მის მოსახსენებლად. დღევანდელი შენობა სასწავლებლისა არის აშენებული განსვენებულის ზედამხედველობის დროს, მისგანვე იყო იგი დაზღვეული. ჯერ შენობისათვის სამღვდელოებისაგან ფულის გამოღება, მერე ამ მცირე ფულით ამოდენა შენობის აშენება, მოიჯარადრეებთან საქმის დაჭერა და წარმოება,—ყველა ეს სათქმელად ადვილი და შესასრულებლად მეტად ძნელი, ადგილობრივი პირობათა გამო ზოგისთვის შეუძლებელიც, შეასრულა განსვენებულმა დიდის სიმარჯვით. მისი ზედამხედველობა ისეთს უფროს უმცროსობას-კი არ წარმოადგენდა, როგორიც უფრო ხშირია. არა, ის ყველა თანამოსამსახურის ამხანაგი იყო და ამხანაგი მოსიყვარულე, მოალერსე, ღიმილით საქმის მაჩვენებელი. ასეთს დამოკიდებულებას, მოგეხსენებათ, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა საქმეში და განსაკუთრებით სასწავლებელში. ეს დამოკიდებულება შექმნეს ზედამხედველმა და მისმა თანაშემწემ, პირველი იყო განსვენებული, მეორე აწ. ეპისკოპოსი ალავერდისა კირიონი. ამ დამოკიდებულების წყალობით თავისთავად მოისპო ყოველი უთანხმოება, თუ კი სადმე იყო. ყველა თავისს საქმეს აკეთებდა, როგორც-კი ძალი და ღონე შესწევდა.

მოსწავლეებს ძალიან უყვარდათ განსვენებული, თუმცა მუდამ შუბლ შეკვრით მიჰმართავდა ხოლმე, მაგრამ ბავშთა გრძნობა გულთა მხ-ლავია, სცნობდა შეკრულის შუბლის ქვეშ რაოდენი სიყვარული იყო მათ მიმართ.

ასეთივე მშვიდობის მყოფელობა და სიამოვნება შეჰქონდა განსვენებულს საზოგადო ცხოვრებაშიაც. ამიტომაც მისს ხსოვნასთან უეჭველად შეერთებულია რომელიმე სასარგებლო მოგონება.

კურთხეულ იყოს საუკუნოდ ხსენება მისი!..

ნადიკვრელი

რუსეთი

—

სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, მთავრობამ განკარგულება მოახდინა, რომ იმ მგზავრებს, რომელნიც რკინის გზის მატარებლის ბილეთის აღებას ვერ მოასწრობენ, ამის მოწმობა მიეცეთ ხოლმე.

— აზრადა აქვთ 1899 წელს პეტერბურგსა ან მოსკოვში გაჰმართონ სრულიად რუსეთის საისტორიო გამოფენა.

— გაზ. „Нар.“-ის სიტყვით, სასულიერო უწყებამ შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ სასულიერო წოდების კაცთ ნება მიეცეთ რკინის გზებზედ მესამე კლასის ბილეთით მეორე კლასით იმოგზაურონ ხოლმე. ასეთი უფლება დღეს მხოლოდ აფიცრებს აქვთ.

— „Сынъ От.“ სწერს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს აზრადა აქვს ბეითალთა დრო გამოშვებითი კრებები მოახდინოსო იმ ადგილებში, სადაც საქონლის ჭირი ხშირად ჩნდება ხოლმე. ამ კრებაზედ ლაპარაკი იქმნება იმის შესახებ, თუ რა ღონისძიებანი უნდა იქმნას მიღებული საქონლის ჭირის წინააღმდეგ საბრძოლველად.

— იმავე გაზეთის სიტყით მიწადმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში ამ ჟამად ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქმნას შინა-მრეწველთათვის განსაკუთრებული სკოლები. ამ სასწავლებლებში მიიღებენ მცირე წლოვან მუშებთან ერთად მოზრდილ მუშებსაც. ასწავლიან სხვა საგნებს გარდა ხატვასაც.

უცხოეთი

—

ამერიკა და ესპანია. შეერთებულ შტატების და ესპანიის წარმომადგენლთ ამ ჟამად მოლაპარაკება აქვთ პარიჟში ამ ორ სახელმწიფოს შორის ზავის დამოლოების შესახებ. კონფერენციის საგანს, ცხადია, ფილიპეს კუნძულები შეადგენს, რადგან სხვა საგნების შესახებ ისინი ომის გათავებასს მორიგდნენ და ეხლა სასრულეშიაც მოჰყავთ. უბასა და პორტო-რიკოს საუკუნოდ გამოეთხოვა ესპანია. მინისტრ-პრეზიდენტმა საგასტამ გამოაცხადა, რომ გენერალს ბლანკოს 35 მილიონი შეგვე გავუგზავნეთ და მიეწერეთ, რომ ჯარის კაცნი დაუბრუნოს სამშობლოშიო. ბლანკოს უცნობებია მთავრობისათვის, რომ ჯარის-კაცთა რიცხვი, რომელიც ესპანიაში უნდა იქმნას გაგზავნილი, 122.000 უდრის, რომელთა შორის 18,000 კაცი ავადმყოფი არისო.

ამერიკისა და ესპანიის წარმომადგენლთ დიდი თაკის მტკრევა არ დასჭირდებათ ფილიპეს კუნძულების შესახებ. საქმე ის არის, რომ შტატები იქიდგანაც გაძეკვებას უპირებს ესპანიას. იმან გაიძლიერა თაკისი ჯარი კუნძულებზედ და ორი საუკეთესო სამხედრო გემიც გაგზავნა მანილიაში მყოფ

ფლოტის მისამატებლად. ასე რომ შტატების ერთიანი ფილიპეს წყლებში ამ ჟამად ოცის გემისაგან შესდგება. ამის გამო ამერიკის შტატებს სრულიადაც არ გაუჭირდება ფილიპეს კუნძულების ბედ-იღბალი თავისის სურვილისამებრ გარდასწყვეტოს. ესპანიას ბევრიც რომ ეცადოს, დიდს წინააღმდეგობას ვერ გაუწევს შტატებს, რადგან მისი ფლოტი ერთიანი განადგურებულ იქმნა ამ უკანასკნელის მიერ კავიტესა და სანტ-იაგოში და ხაზინაც დაცლიერებულია. ესპანიის სისუტეს, რადა თქმა უნდა, კარგად ჭვრეტენ ამერიკა. ამ დღეებში შტატების რესპუბლიკის დასსა კრება ჭქონია სარატოგაში და დაუდგენია, რომ ფილიპეს კუნძულები არამც და არამც არ დაუბრუნოთო ესპანიას.

—

ინგლისი. გაზეთები იუწყებიან, რომ ლორდი სალისბერი ერთობ ხშირად დადის თავისის მამულიდგან ლონდონშიო. ფაშოდის შესახებ საქმის ასე თუ ისე დაბოლოება მან ინგლისის ელჩს მიანდო პარიეში, ხოლო თითონ ჩინეთის და კრეტის საქმეებს უნდებო.

—

ჩინეთი. ჩინეთის მრავალ ადგილას ამ ჟამად ხალხის დიდი ამოხეტებაა. მთავრობამ ჯარი გაგზავნა მეამბოხეთა დასათრგუნავად. ჯარის უფროსს დაუმარცხებია მეამბოხეთა ერთი რაზმი და რამოდენიმე ქალაქი მიწასთან გაუსწორებია, მაგრამ თითონაც დიდი ზარალი მოსვლია. გაზ. „Times“-ს სიტყვით, მთავრობის მოხელენი უდანაშაულო სალხზედ ჭყრიდობენ ჯავრს და შეუბრალებლად მუსრს აკლებენ. ამის გამო ბევრი მშვიდობიანი კაცი ჯარის მოახლოებას რო გაიგებს, თავისს სახლ-კარს თავს ანებებს თურმე და უდაბურს ადგილებში გარბის.

იმავე გაზეთში დაბეჭდილია მეამბოხეთა უფროსის, ჩანგის პროკლამაცია, რომელშიაც იგი ამბობს:

ზეცაში ასეა დაწერილი,—მე ჩანგმა ჩვენის ქვეყნიდგან უცხოელები უნდა გავრეკო და ჩინეთში ბოროტმოქმედება მოვსპო. ბარბაროსნი—ევროპიელნი ჩვენს ქვეყანას ისე უცქერიან, როგორც ვეფხვი ნანადირევს: იმათ უნდათ შეუმჩნეველად და ოსტატობით ხელში ჩაიგდონ ჩვენი ქვეყანა. ჩინეთში ისეთი ადგილი არ მოიპოვება, რომლის ხელში ჩაგდებას ისინი მოწადინებულნი არ იყვნენ, ამისათვის ისინი ფულს არ ჭზოგავენ.

ათის წლის წინად ჩვენში მოვიდნენ უცხოელი მისიონერები და სალხს ქადაგებდა დაუწყეს, რომ ძველს ღმერთებს ნუღარ იწამებთო; თავიანთი გესლი იმათ მთელს ქვეყანას მოსდეს. უცხოელები თავიანთ საქმეს თითონვე აწარმოებენ და ფულებს იბარგენ; ისინი ქვეყანას სძარცვენ. ამასთანავე ისინი ხარბი და სიზიზღრი ხალხია. ღმერთი და ერი, ცა და დედამიწა უნდა ამსდრდნენ იმათ წინააღმდეგ და ისინი არ უნდა დაინდონ. ჯერ მეგობრულს სიტყვებს ეჩვენებენ და დახმარებას შეპირდებიან და ამ რიგად თქვენს ნდობას დაიმსახურებენ ხოლმე; შემდეგ-კი მოტეეულებით მთელს თქვენს საცხოვრებელს ჩაიგდებენ ხელში.

მე დიდად ადელვებული კარ ჩვენის მოხელეების ანგარებით; ისინი უცხოელების წინააღმდეგ არავითარს ღონისძიებას არ ხმარობენ. ბირ-იქით, უცხოელების სურვილისამებრ, ისინი ჩინელებს აპატიმრებენ და კიდევაც ჭკლავენ. მანდარინები ხალხს ისე უცქერიან, როგორც პატარა ბუზებს.

ზეცის ბრძანების თანხმად, კამბედავმა კაცებმა დროშის ქვეშ თავი უნდა მოიყარონ. მდიდრები კალდებულნი არიან ხალხის კეთილ-დღეობისათვის ფულებით დაგვეხმარონ. ჩვენ 30,000 ისეთი მამაცი მომყარი გვუპოვეს, როგორც კეფხვი.

მე ამ პროკლამაციას უკანასკნელ კგზავნი, რათა ყველამ იცოდეს, რას ველტვი და შემწეობა აღმოიჩინონ მე. ვინც წინააღმდეგობას გაბიწევს, მოკლულ იქმნებიო.

დამაკვირდი

უმჯობესია ადამიანმა არასოდეს მიაღწიოს საკანს თავისის მისწრაფებისა, ვიდრე მიაღწიოს, ანუ ეგონოს, რომ მიაღწია და ისევ დაჭკარგოს..

ბ. დ—შვილი

* * *

უღმობელობად გულსა განაფიტხებს.

იოანე

* * *

წიგნის კითხვასა თუ ეგუმეკდე, ანუ ხოლო სასწრაფესა და რიტორებრიეობასა ოდენ მიედ ვნები!

ეფრემ ასური

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲓᲒᲐᲜ

(ამოკრებილი ამბები)

ჯერ ისევ წარსულ საუკუნის დასაწყისში აშენებდნენ ობობას და აქსოვინებდნენ აბლაბუდას. სხვათა შორის აბლაბუდისაგან მოქსოვეს ერთი წყვილი წინდა და ხელთათმანი და გაჰგზავნეს პარიეის აკადემიაში. წინდები და ხელთათმანი ძლიერ მოიწონა სახელოვანმა რეომიურმა.

შემდეგ ერთმა ინგლისელმა კომერსანტმა როლტმა ოცდა ორს ობობას მოაქსოვინა ქსოვილი.

საფრანგეთის ერთი ჟურნალი ამბობს, რომ ამ გვარ ქსოვილებისათვის ყველაზედ უკეთესები მადაგასკარის ობებები არიანო.

ამ ობობებს ჩასვამენ ხოლმე ყუთში, რომელშიაც ისეა მანქანები მოწყობილი, რომ ობობას სულ ერთიანად გამოაცლიან აბლაბუდას. ობობას ეს არაფრად ესიამოვნება, მაგრამ მერე ბუზებს აკმევენ და ამით აჯილდოვებენ შრომისათვის.

* * *

ბერლინის ერთს კოშკში შემდეგი ახირებული გასართობი გაუმართავთ. კაცი შედის დიდს დარბაზში, აქ გაიგონებს სასიამოვნო მუსიკას სხვა ოთახიდგან, წავა იქით და ჰნახავს მშვენიერს ქალს, რომელსაც მიუახლოვდება. ამ დროს გაჩნდება მდევი უშველებელის კეტით. შეშინებულს კაცს გაქცევა უნდა, მაგრამ ამ დროს, იატაკი უეცრად ძირს დაიწევს და კაცი გაჩნდება ჰარამხანაში, სადაც ტურფა ქალები სხედან. ერთ-ერთი ქალი მიიხმობს, მაგრამ ამავე დროს გაჩნდება ვეფხვი და იატაკი ისევ ძირს დაიწევს. ეხლა სტუმარი ჯოჯოხეთშია, ჰხედავ: ეშმაკებს, არე მარეს ცეცხლი ეკიდება. კაცს შიშით ჰლამის გული წაუვიდეს, მაგრამ ამავე დროს მოტრიალდება მანქანა და კაცი ისევ იმ დარბაზში გაჩნდება, სადაც პირველად შევიდა. ამ კოშკში შესვლა სულ ათიოდე შაურად შეუძლიან მსურველს.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა საგენტოსაგან).

29 სექტემბერი.

კრეტა. ბატურლინიდგან იუწყებიან მეუღლეთა ერმოლენკოვების მოკვლის შესახებ. ერმოლენკოვი პოლტავის მდიდარი მემამულე იყო მეუღლენი ძილის დროს ცულით მოუკლავთ.

დონის როსტოვი. დონის ნახიჩევანში შესდგა საზოგადო კრება სომეხია ეკკლესიების მრევლისა, საეკკლესიო სამზრუნველოს 1896 და 1897 წლების ანგარიშებისა განსახილველად. კრებასვე უნდა განეხილა განსაკუთრებული ანგარიში სამზრუნველოს მიერ დონის როსტოვში სახლის აგების შესახებ. ამ სახლზედ დახარჯულ იქმნა 300,000 მანეთზე მეტი საქველმოქმედო ფული. კრებამ არ დაამტკიცა რა 1896 და 1897 წლ. ანგარიში, ერთხმად დაადგინა სამზრუნველოს მიერ სახლის აშენების საქმე ტაგანროგის სასამართლოს ბრალმდებელს გარდასცეს და სთხოვეს განკარგულება მოახდინოს, რომ გამოძიება დაიწყონ:

ლონდონი. გამოქვეყნებულ იქმნა მიწერ მოწერა საფრანგეთთან ფაშოდას შესახებ, ფრანგების მოქმედებას დელკასიე იმით ამართლებს, რომ სუდანი ეგვიპტენ დაჰკარგაო. გამოქვეყნებულ იქმნა აგრეთვე ქაირში მყოფ ინგლისის ელჩის დეპეშა სალისბიურთან გაგზავნილი. ელჩი ატყობინებს, რომ მარშანი უეჭველად დაიღუპებოდა, ინგლის-ეგვიპტეს ჯარს რომ ორის კვირით გვიან დაემარცხებინა ხალიფის ჯარი. 3 ოქტომბერს სალისბიურიმ მიანდო მონსონს გამოუცხადოს დელკასეს, რომ ინგლისი მარშანის ექსპედიციას არავითარ პოლიტიკურ მნიშვნელობას არ აძლევსო.

ფრანკეტი. „Trankfurter Leitung“-ს პეკინიდგან დეპეშით ატყობინებენ, რომ აქ ამ ცოტა ხანში მოელიან აგრეთვე საფრანგეთის და იტალიის ჯარს თავიანთის მისიების დასაცველადაო.

კანეა. სულთანმა დაავალა ჯევად-ფაშას ეახლოს იმპერატორს ვილჰელმს სირიაში მოგზაურობის დროს. დღეს ჯევად-ფაშა ბეიბურთში მიდის. კრეტის ჯარის უფროსად იქმნება შაქირ-ფაშა.

იოკაგამა. იაპონიის მთავრობამ თავის მისიის დასაცველად პეკინში განკარგულება მოახდინა, რომ ზღვაოსნები ხმელეთად გადასხან.

პარიეი. დიდამ მშვიდობიანად ჩაიარა. იმდენივე მუშა მუშაობს რამდენიც შაბათს.

პოტსლამი. იმპერატორი მეუღლითურთ სამშაბათს მიდის კამენცში, პრინცის ალბრეხტის მეუღლის დაბადებაზედ დასასწრებლად, შემდეგ ვენეციაში წავა, სადაც ხუთშაბათს მივა. სადარბაზოდ იქმნებიან რა მეფესთან, მათი უდიდებულესობანი კონსტანტინეპოლში წავლენ.

წერილი რედაქციის მიმართ

ურდმეს მადლობასა ვწირავ ქვემორე მოხსენებულ ქველმოქმედთ, რომელთაც ჩვენს წიგნთ-საცავ-სამკითხველოს შეეწეობა აღმოუჩინეს: მაკიკა ცომაიასამ კორძაიას ასულმა ფულად 10 მ., ექიმმა ექვთიმე სიმონის ძე ვაშაკიძემ 10 მ., ოლღა ალექსანდრეს ასულმა ნიკოლაძისამ 5 მ. და ანეტა ნიკოლოზის ასულმა ლორთქიფანიძისამ წიგნების განჯინა, ღირებული 15 მ.

დიდ ჯიხაიშის სამკითხველოს მმართველი
პოლიკარპე ლორთქიფანიძე

დაიბეჭდა ᲛᲑ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ
„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიაში
ამავე საზოგადოების ახალი გამოცემანი:

1) **ᲐᲛᲝᲦᲘᲡ, ᲜᲐᲗᲔᲡᲘᲐ!** და სხვა მოთხრობები ვაჟა-ფშაველასი. ფასი 15 კაპ.

2) **ᲙᲠᲘᲚᲝᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲙᲔᲑᲘ,** თარგმანი აკაკისა, მესამე გამოცემა, სურათებით. ფასი 30 კაპ. (10—უ—5)

1899 г. ОТКРЫТА ПОДПИСКА НА

„ЮРИДИЧЕСКУЮ ГАЗЕТУ“

съ безплатнымъ приложеніемъ

„Сборника рѣшеній Уголовнаго и Гражданскаго Кассаціонныхъ Департаментовъ и Общаго Собранія Правительствующаго Сената“ и „Собранія узаконеній и распоряженій Правительства“.

Выходитъ два раза въ недѣлю *): по воскресеньямъ и четвергамъ

безъ предварительной цензуры

Годовая подписная цѣна съ доставкою и пересылкою СЕМЬ руб.

Допускается разсрочка въ платежѣ: при подпискѣ — 4 руб. и къ 1 му апрѣля — 3 рубля.

Правительственныя и общественныя учрежденія, а также должностныя лица этихъ учрежденій, вправѣ подписываться въ кредитъ, но при условіи, чтобы: а) требованія были заявлены на бланкѣ присутствія, съ указаніемъ числа, мѣсяца, года и №; б) при требованіи были присланы два рубля, и в) въ требовательномъ бланкѣ опредѣленъ былъ срокъ, къ которому должны быть доставлены въ редакцію остальныя подписныя деньги (5 р.) за газету, при чемъ учрежденіе принимаетъ на себя ответственность за своевременную присылку остальныхъ денегъ (5 р.), до истеченія того года, на который сдѣлана подписка.

(Адресъ: С. Петербургъ, Невскій пр., д. № 59).

ПРОГРАММА- Передовыя статьи.—Обзоръ постановленій отечественнаго и иностраннаго законодательствъ,—Статьи и замѣтки спеціально юридическаго содержанія—Рисунки и иллюстраціи къ тексту статей.—Вѣсти и слухи—Корреспонденціи.—Фельетонъ.—Рѣшенія правительствующаго Сената, Отчеты о судѣбныхъ засѣданіяхъ и процессахъ.—Рефераты юридическихъ ученыхъ обществъ и диспуты.—Движеніе по государственной и общественной службѣ (приказы министерствъ).—Дѣйствія правительства (собр. узакон. и распор. прав.).—Списки дѣлъ, назначенныхъ къ слушанію въ Департаментахъ и общихъ собраніяхъ Правительствующаго Сената.—Списки лицъ, состоящихъ подъ опекою, признанныхъ несостоятельными, возстановленныхъ въ правоспособности, а также объявленія объ уничтоженныхъ довѣренностяхъ (Сенатскія объявленія).—Обзоръ юридическихъ журналовъ.—Новыя книги и отзывы о нихъ (библіографія).—Объявленія.

Вмѣстѣ съ этими, подписчики, **внесшіе полную годовую плату за газету**, могутъ обращаться въ контору „Юридической Газеты“ за справками по дѣламъ какъ судебнымъ, такъ и административнымъ, и за разрѣшеніемъ юридическихъ вопросовъ по дѣламъ, касающимся ихъ имущественныхъ или личныхъ интересовъ. Порученія эти редакція принимаетъ на себя при соблюденіи слѣдующихъ условій:

§ 1. Сообщеніе въ «Юридической Газетѣ“, въ отдѣлѣ „Почтоваго ящика“, справокъ о резолюціяхъ **Кассаціонныхъ Департаментовъ прав. Сената, но не болѣе 3 хъ разъ въ теченіе подписного года,** дѣлается безплатно. Лица же, желающія получить по дѣламъ **Кассаціонныхъ Департаментовъ Сената** справки по почтѣ, прилагаютъ два рубля за каждую справку по каждому отдѣльному дѣлу, а желающія получить ее по телеграфу присылаютъ кромѣ двухъ рублей и стоймость отвѣтной телеграммы.

§ 2. Наблюденіе за ходомъ дѣла, какъ составляющаго предметъ особаго порученія болѣе или менѣе продолжительнаго, производится на условіяхъ особаго соглашенія съ конторою редакціи.

§ 3. Справки и порученія **по судебнымъ и административнымъ департаментамъ Правительств. Сената**, равно какъ и по всѣмъ вообще, кромѣ Кассаціонныхъ Департаментовъ Сената (см. выше § 1-й), **центральнымъ и мѣстнымъ административнымъ и судебнымъ учрежденіямъ** (правительственнымъ и общественнымъ) должны производиться на условіяхъ особаго предварительнаго соглашенія съ конторою редакціи.

§ 4. Разрѣшеніе юридическихъ вопросовъ по дѣламъ, касающимся имущественныхъ и личныхъ интересовъ, сообщеніе совѣтовъ и т. п производится письменно по почтѣ, на условіяхъ особаго предварительнаго соглашенія съ конторою редакціи.

§ 5. Лица и учрежденія, обращающіяся за справками, обязаны сообщать: а) бандероль, за которую получаютъ „Юридическую Газету“; б) когда и кѣмъ поданы прошеніе или жалоба; в) на рѣшеніе какого присутственнаго мѣста или должностнаго лица, и г) когда и какимъ присутственнымъ мѣстомъ и должностнымъ лицомъ прошеніе или жалоба отправлены въ Сенатъ или другое правительственное учрежденіе.

§ 6. При невзносѣ **полной** годовой подписной платы и при неисполненіи условій, указанныхъ выше въ §§ 1—5 настоящей программы, всѣ требованія, запросы и порученія оставляются безъ движенія, такъ какъ порученія, предусмотрѣнныя § 1, обязательны для конторы, если подписчикомъ исполнены требованія, указанныя въ § 1 и 5, а порученія, предусмотрѣнныя въ §§ 2—4, могутъ считаться обязательными для конторы лишь тогда, когда послѣдняя изъявитъ согласіе принять исполненіе возлагаемаго на нее порученія.

§ 7. Контора редакціи „Юридической Газеты“ также принимаетъ на себя указаніе адресовъ повѣренныхъ для веденія дѣлъ.

(3—у.—2)

*) Въ дни Рождества Христова, равно на сырной, страстной и пасхальной недѣляхъ, а также въ два лѣтніе мѣсяца (съ 15 іюня по 15 августа) газета выходитъ по одному разу въ недѣлю.

Дозволено цензурою, Тифлисъ 29 го Сентября 1898 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ᲘᲚᲘᲐ ᲩᲐᲕᲩᲐᲕᲐᲫᲔ